სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 1 23 0001142760

13/09/2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით ჩასატარებელი შეფასების პროცედურების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, „2023 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 15 მაისის MES 3 23 0000538151 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 12 სექტემბრის „2023 წელს საბაზო ზოგად უნარებში ტესტირების ჩატარების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ MES 1 23 0001135362 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის N 01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, „სტუ-ში პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების ვადების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის 2023 წლის 07 სექტემბრის MES 9 23 0001098452 ბრძანების გათვალისწინებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.2023 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების პროცედურები განისაზღვროს №1 დანართის შესაბამისად.
2.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი კომისიების შემადგენლობა №2 დანართის შესაბამისად.
3.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სააპელაციო კომისიების შემადგენლობა №3 დანართის შესაბამისად.
4.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შეფასების პროცედურის ვადები №4 დანართის შესაბამისად.
5.დამტკიცდეს მოტივაციური გასაუბრების და შეფასების ფორმები №5 და № 6 დანართის შესაბამისად.
6.დამტკიცდეს შემოქმედებითი ტურის შეფასების ფორმა №7 დანართის შესაბამისად.
7.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თამარ წერეთელს.
8.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
9.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
10.ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორის მოადგილე
ზურაბ გასიტაშვილი